საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.09.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 082/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 28 სექტემბერს საჩივრით მომართა მ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორი დაესწრო 2023 წლის 23 ოქტომბრის საპროცესო კოლეგიის ონლაინ ფორმატით გამართულ სხდომას, სადაც მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. მ. წარმოადგენს მისი შვილის - ი. კ.-ის ადვოკატს, სისხლის სამართლის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს მიღებული აქვს ჰონორარი - 5000 ლარი, ის არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ცდილობს

ბრალი დაუმძიმოს კლიენტს და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ არ მიმართავს სააპელაციო სასამართლოს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. მ.-მ, მის მეუღლესთან - ე. კ.-სთან საუბრისას განაცხადა: „თუ შენს შვილს, ი. კ.-ს არ დაურტყამს ნაჯახი თქვენს ოჯახში შემოჭრილი მ. ქ.-სთვის, მაშინ გამოდის, რომ ოჯახის რომელიმე წევრმა გამოიყენა ნაჯახი“, რაც მომჩივანის პოზიციით, შეურაცხმყოფელი, ადვოკატისათვის შეუფერებელი განცხადებაა და ემსახურება ი. კ.-სთვის ბრალის დამძიმებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, სად-ის N8 დაწესებულებაში ადვოკატთან საუბრისას, ადვოკატმა პირადად მასაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა: „რას მეუბნები ბიჭო, მე ხალხი მიცნობს და შენ როგორ მელაპარაკები“.

1.4 საჩივრის ავტორმა, საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 23 ოქტომბრის ონლაინ ფორმატით გამართულ სხდომაზე იშუამდგომლა მასსა და მისი ოჯახის წევრებსა და ადვოკატ ნ. მ.-ს შორის გამართული სატელეფონო ჩანაწერების ამოღების თაობაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. მ.-მ 2023 წლის 11 ოქტომბერს, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა განმარტება, რომელიც ხელმოწერილია მისი და კლიენტის - ი. კ.-ის მიერ. განმარტებაში მითითებულია, რომ მ. კ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის მიერ წარმოდგენილ განმარტებაში მითითებულია, რომ მ. კ.-ის საჩივარში ი. კ.-ის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული დეტალები არასწორადაა გადმოცემული, კერძოდ, მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით, ჰონორარის საფასურს წარმოადგენდა არა 5000 ლარი, არამედ 5000 აშშ დოლარი. ადვოკატი ხშირად ნახულობდა კლიენტს სად-ის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, კლიენტს უთანხმებდა სამოქმედო სტრატეგიას, ჩავიდა შემთხვევის ადგილას, ჩადიოდა ქალაქ გორში კლიენტთან სასაუბროდ და ასრულებდა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებს. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ი. კ.-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის მიღების შემდეგ, ადვოკატმა 23 გვერდიანი სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში, რაც სასამართლომ წარმოებაში მიიღო, თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იყო ზაფხულის პერიოდი, პროცესის ჩანიშვნა გაჭიანურდა. ადვოკატის განმარტებით, მ. კ. ღიზიანდებოდა იმ ფაქტით, რომ სააპელაციო სასამართლო აჭიანურებდა პროცესის ჩანიშვნას, თუმცა მისი კლიენტი - ი. კ., მუდმივად გამოთქვამდა კმაყოფილებას მის მიერ გაწეულ საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებით და პირადად მას ადვოკატის მიმართ პრეტენზია არასდროს გამოუთქვამს. ადვოკატის განმარტებით, თავად ი. კ. სთხოვდა მ. კ.-ს, რომ შეეწყვიტა ადვოკატის შეწუხება და მისთვის შეურაცხყოფის მიყენება, როგორც პირადი საუბრების, ისე წერილობითი განცხადებების მეშვეობით. ადვოკატმა განცხადებით, მან მ. კ.-ს მიაწოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებისას, ი. კ.-მ აღიარა, რომ თავდაცვის მიზნით მან ნამდვილად ჩაარტყა ნაჯახი მ. ქ.-ს, ხოლო ე. კ.-სთან საუბრისას, დააფიქსირა მოსაზრება - ყველაფრის დამალვა, ეჭვს გააჩენდა, რომ დაზარალებულს ნაჯახი ი. კ.-ის ოჯახის რომელიმე წევრმა ჩაარტყა.

2.3 ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში 2023 წლის 11 ოქტომბერს წარმოდგენილ განცხადებაში, რომელიც ხელმოწერილია ადვოკატ ნ. მ.-ისა და იური კენჭოშვილის მიერ, მითითებულია, რომ მ. კ.-ის უკმაყოფილების გამო, ი. კ.-მ უარი განაცხადა ადვოკატ ნ. მ.-ისაგან საადვოკატო მომსახურების მიღებაზე, თუმცა განუმარტა ადვოკატ ნ. მ.-ს, რომ ის კმაყოფილი იყო ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებებით, თუმცა მამასთან არსებული უთანხმოების გამო, იძულებული იყო შეეწყვიტა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ი. კ.-მ ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია, რომ წარსულში, მ. კ.-ს უთანხმოება ჰქონდა ი. კ.-ის სხვა ადვოკატებთანაც და ის იძულებული გახდა უარი ეთქვა მათთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზეც, რაც განპირობებული არ ყოფილა ადვოკატისადმი უკმაყოფილებით.

IV სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სიითი №, სპეციალიზაცია - საერთო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვთა უფლებები.

3.2 მ. კ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 28 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2020 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

3.4 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა მ. კ.-ის მიერ 2023 წლის 23 ოქტომბრის ონლაინ ფორმატით გამართულ სხდომაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე, რომლის მიხედვითაც მ. კ. ითხოვდა მასსა და მისი ოჯახის წევრებსა და ადვოკატ ნ. მ.-ს შორის გამართული სატელეფონო ჩანაწერების ამოღებას. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიაში საქმისწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რაც განმტკიცებულია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტით და გულისხმობს, რომ იმ სადავო ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაზეც აპელირებენ მხარეები, ეთიკის კომისიას უნდა წარუდგინონ თავად მხარეებმა. მხარეთაგან დამოუკიდებლად, მტკიცებულებების მოპოვება სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს. კომისიის განმარტების მიუხედავად, თავად მ. კ.-ს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მან დამოუკიდებლად მიმართა კომპეტენტურ ორგანოს ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, თუმცა უშედეგოდ, რაც ეთიკის კომისიას მისცემდა შესაძლებლობას განეხორციელებინა გარკვეული მოქმედებები. შესაბამისად, მ. კ.-ის შუამდგომლობა სატელეფონო ჩანაწერების ამოღებაზე არ დაკმაყოფილდა კომისიის მიერ.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა

და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ნ. მ.-მ მიაყენა სიტყვიერი შეურცახყოფა: „რას მეუბნები ბიჭო, მე ხალხი მიცნობს და შენ როგორ მელაპარაკები“; ცდილობდა მისი შვილისათვის - კლიენტისათვის ბრალის დამძიმებასა და მისი ოჯახის შურაცხყოფას, როცა განაცხადა: „თუ შენს შვილს, ი. კ.-ს არ დაურტყამს ნაჯახი თქვენს ოჯახში შემოჭრილი მ. ქ.-სთვის, მაშინ გამოდის, რომ ოჯახის რომელიმე წევრმა გამოიყენა ნაჯახი“.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი: „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან....“

5.3 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ ნ. მ.-ის კლიენტს წარმოადგენს ი. კ. და არა მ. კ., მ. კ. არის ი. კ.-ის მამა, რომელმაც ი. კ.-ის სახელით მიმართა ადვოკატს კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე და გადაუხადა მას ჰონორარი. მ. კ. ადვოკატ ნ. მ.-ს სწორედ ი. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის მისაღებად უკავშირდებოდა. შესაბამისად, ადვოკატის მიერ კლიენტის ოჯახის წევრისათვის, საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე სიტყვიერი შეურაცხყოფის შესაძლო მიყენების ნაწილში, კომისია მიიჩნევს, რომ მომჩივანი წარმოადგენს უფლებამოსილ განმცხადებელს.

5.4 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალური ნორმები მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება, №დს-შ/5-15).

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატთა ასოციაციის წევრები, ადვოკატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულნი არიან არა მხოლოდ კლიენტების, არამედ პროფესიის წინაშე. გამომდინარე აქედან, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება საქმიანობა განახორციელეს ისე, რომ ჩრდილი არ მიაყენოს მთლიანად ადვოკატთა კორპუსს. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებები, არა მხოლოდ კლიენტების, არამედ პროცესის მონაწილეთა მიმართაც უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ქცევის სტანდარტებს. ადვოკატებს პროცესის მონაწილეთა მიმართ ეკისრებათ ისეთი ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები, როგორებიცაა: არ შელახონ პროცესის მონაწილეთა უფლებები, პატივი და ღირსება; პროცესის მონაწილეებთან კომუნიკაციაში

გამოიჩინონ პატივისცემა და მათთან ნებისმიერი პაექრობა წარმართონ ისე, რომ სრულად დაიცვან ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტები და განამტკიცონ პროფესიის მიმართ პატივისცემა (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის", 08/06/2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე N002/14; ეთიკის კომისიის 24/01/2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე №075/10).

5.6 საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის შესაბამისად, ადვოკატები სარგებლობენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით, ამავდროულად, მათ ეკისრებათ ვალდებულება, ამ უფლების რეალიზაციისას იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად (Basic Principles on the Role of Lawyers, adopted by the 8th UN Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba,1990, 23.). ადვოკატები, როგორც საზოგადოებრივი ოფიცრები, მართლმსაჯულების სისტემაში მათი როლიდან გამომდინარე, უფრო შეზღუდულნი არიან კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული თავისუფლებით სარგებლობაში (ეთიკის კომისიის 25.05.22 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N089/21, 6.7). შესაბამისად, ადვოკატებს ეკისრებათ ვალდებულება არ მიაყენონ შეურაცხოფა პროცესის მონაწილეებს და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, იზრუნონ ადვოკატთა კორპუსის რეპუტაციაზე.

5.7 ეთიკის კომისიაში საქმის წარმოებისას, სადავო გარემოებებთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორმა და ადვოკატმა ნ. მ.-მ გარკვეულწილად განსხვავებული განმარტებები წარმოადგინეს. ადვოკატმა უარყო მ. კ.-ისათვის შეურაცხყოფის მიყენება, თუმცა დაადასტურა, რომ საუბრისას, ინფორმაცია მიაწოდა მ. კ.-ს, რომ კლიენტმა აღიარა თავდაცვის მიზნით დაზარალებულისათვის ზიანის მიყენება და საკუთარი აზრი აცნობა კლიენტის დედას, როცა განუმარტა, რომ „ყველაფრის დამალვით, შესაძლოა გაჩენილიყო ეჭვი, რომ ნაჯახი დაზარალებულს ოჯახის სხვა წევრმა ჩაარტყა".

5.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე", ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები". საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.9 ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის განხილვისას, საჩივრის ავტორს, გარდა ახსნა-განმარტებისა, არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულებები, რაც კომისიას დაარწმუნებდა ადვოკატის მიერ სადავო ფრაზის - „რას მეუბნები ბიჭო, მე ხალხი მიცნობს და შენ როგორ მელაპარაკები" გამოყენებასა ან/და ადვოკატის მიერ მისთვის სხვა ფორმით სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში. ამავდროულად, კომისია განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, ადვოკატ ნ. მ.-ს სადავო ფრაზები: „რას მეუბნები ბიჭო, მე ხალხი მიცნობს და შენ როგორ

მელაპარაკები“ და „თუ შენს შვილს, ი. კ.-ს არ დაურტყამს ნაჯახი თქვენს ოჯახში შემოჭრილი მ. ქ.-სათვის, მაშინ გამოდის, რომ ოჯახის რომელიმე წევრმა გამოიყენა ნაჯახი“, რომ ეთქვა მომჩივანისათვის, აღნიშნული არ წარმოადგენს ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების დარღვევას, ვინაიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული ფრაზეოლოგია არ არის უწმაწური ან/და საზოგადოებისათვის მიუღებელი ფორმით გადმოცემული და არ იკვეთება ადვოკატ ნ. მ.-ის ბოროტი განზრახვა, რომელიც მომჩივანის ან მისი ოჯახის წევრების დამცირებას ან მათი ღირსების შელახვას ისახავდა მიზნად. სადავო ფრაზა - „თუ შენს შვილს, ი. კ.-ს არ დაურტყამს ნაჯახი თქვენს ოჯახში შემოჭრილი მ. ქ.-სათვის, მაშინ გამოდის, რომ ოჯახის რომელიმე წევრმა გამოიყენა ნაჯახი“, კი წარმოადგენს მოსაზრებას, ვარაუდს, რაც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით.

5.10 საპროცესო კოლეგია დამატებით განმარტავს, რომ იგი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საჩივრის ავტორის სუბიექტური მდგომარეობის და იმის შესახებ, თუ როგორი მორალური ტანჯვა მიაყენა მას ადვოკატის სიტყვებმა. ამიტომ, საპროცესო კოლეგია საზომად ზოგად, ობიექტურ ფაქტორებს იღებს და არა საჩივრის ავტორის სუბიექტურ შეხედულებებს. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ შესაძლოა ადამიანის გაღიზიანება, გაბრაზება (მაგრამ არა შეურაცხყოფა, რადგან შეურაცხყოფა მხოლოდ ამორალური ფორმით არის შესაძლებელი) ისეთმა სიტყვებმაც გამოიწვიოს, რომელიც სრულად ექცევა ეთიკურობის ფარგლებში, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს შეურაცხყოფას, რადგან ადამიანის შეურაცხყოფა ხდება უხამსი სიტყვების გამოთქმით, ხოლო ადვოკატის მიერ სადავო ფრაზების გაჟღერების შემთხვევაშიც კი, აღნიშნული ფრაზები ვერ ჩაითვლება შეურაცხმყოფელი შინაარსის მქონედ.

5.11 საპროცესო კოლეგია, საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, ადვოკატი ნ. მ. არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და ადვოკატმა არ მიმართა სააპელაციო სასამართლოს, განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 (ა) მუხლის მიხედვით, „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა“. დასახელებულ შემთხვევაში, ნ. მ.-ის კლიენტს წარმოადგენს არა მ. კ., არამედ ი. კ., შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, სწორედ კლიენტია უფლებამოსილი პრეტენზია გამოთქვას ადვოკატის მიერ კლიენტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე. საპროცესო კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ ადვოკატმა წარმოადგინა სააპელაციო საჩივარი და მისი კლიენტის - ი. კ.-ის მიერ ხელმოწერილი განმარტება, სადაც ის ეთანხმება ადვოკატს და განმარტავს, რომ პრეტენზია არ აქვს ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ.

5.12 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლის შესაძლო დარღვევას. შესაბამისად, ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №082/23 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ნ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/